

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) 388-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 388. სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება

1. სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე სამსახურში (ნაწილში) საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღე-ღამისა,
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა,
- ისჯება სამხედრო პირის სამსახურებრივი შესაძლებლობით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით,
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურედ ითვლება კურსანტი/მსმენელი, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული პირი, საკონტრაქტო და კადრის სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე რეზერვისტი სამხედრო შეკრებაზე ელოფნისას.
2. სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი